

2019-2020 სასწ. წლის

მაგისტრატურის მისაღები მოთხოვნები - მუსიკისმცოდნეობა

შეფასება ხდება 100 ქულიან სისტემაში; გამსვლელი ქულა - 81 და ზემოთ.

სპეციალობა - ეთნომუსიკოლოგია

სამაგისტრო პროგრამაზე „მუსიკისმცოდნეობა“ ჩაბარების მსურველი აბიტურიენტი აბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და შემოქმედებით ტურებს სპეციალობაში.

აბიტურიენტს მოეთხოვება:

1. ხალხური სიმღერის რამდენიმე მუხლის აუდიოჩანაწერის მოსმენა და მისი დიალექტისა და ჟანრის განსაზღვრა (პასუხი იქვე უნდა შემოწმდეს და გასწორდეს, რომ გამოცდის მომდევნო ნაწილები სწორად წარიმართოს);
2. მოსმენილი მუხლების ნოტირება;
3. თეორიული ანალიზი იმ მუსიკალური დიალექტისა, რომელსაც ნოტირებული სიმღერა ეკუთვნის;
4. ნოტირებული სიმღერის ჟანრის თეორიული ანალიზი (დიალექტების მიხედვით);
5. ნოტირებული სიმღერის შესაბამისი დიალექტისა და ჟანრის სხვადასხვა კუთხის ნიმუშების შესრულება სიმღერით (ყველა ხმის მღერით).
(სამუშაო დრო 7-8 ასტრონომიული საათი).